ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს თამარისი

შეფასების თარიღ(ებ)ი:
15-16 სექტემბერი, 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი
08.10.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	**შპს თამარისი**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**ს/კ: 446966025**

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	√
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	√
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	√
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ქალაქი ბათუმი**
იურიდიული მისამართი	**საქართველო, ქობულეთი, ს.ალამბარი.1–ლი.VII ჩიხი.№2**
ფაქტობრივი მისამართი	**გორდეზიანის ქ.3ა**
საფოსტო ინდექსი	**6000**
დაწესებულების ვებ-გვერდი	**https://tamarisi1.ge/**
დაწესებულების ელ-ფოსტა	tamarisibat@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	**599130342**
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	**ბადრი ჯაფარიძე**
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	**599130342**
ელ-ფოსტა	granta2005@mail.ru

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს თამარისში ვიზიტის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 2 აგვისტოს ბრძანება MES 1 22 0000868172
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	15.09.2022 -16.09.2022
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ქეთევან ბოტკოველი
წევრი (სახელი, გვარი)	მაკა ნადარეიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6/ პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით			
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით			
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი			
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს			
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს			
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები			
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	
	1.2.	
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.ბ*	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.4.*	
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.6*	სკოლის დებულებაში, რომელშიც აღწერილია დასაქმებულ პირთა უფლება-მოვალეობები, ექიმის უფლება-მოვალეობები გაწერილი არ არის, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია - სკოლის დებულებაში გაჩნდეს ჩანაწერი სკოლის ექიმის უფლება-მოვალეობების შესახებ.
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სკოლა ორიენტირებულია განვითარებაზე. 2021-2022 სასწავლო წელს სკოლა გაეცნო მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და დაიწყო კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა. სკოლას გაფორმებული აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლასთან, რომლის ფარგლებშიც სკოლაში ფუნქციონირებს მათემატიკის შაბათის სკოლა.

დაწესებულების მისია	შპს „თამარისი“ მოსწავლეებს სთავაზობს საუკეთესო განათლებას მზრუნველ და აკადემიური გამოწვევებით აღსავსე გარემოში, აძლევს შესაძლებლობას, მიაღწიონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს და გახდნენ ქმედითუნარიანი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე, დემოკრატიულ ცნობიერებაზე დაფუძნებული გლობალური მოქალაქეები. სკოლის მისიაა მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი განათლების მიცემა. ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების, უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება,ოჯახის, საზოგადოებისა და სამშობლოს წინაშე უფლება–მოვალეობების გაცნობიერებაში დახმარება.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	**არ გაცემულა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 210	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	კერძო სკოლა შპს „თამარისმა“ თვითშეფასების დოკუმენტთან და საავტორიზაციო დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული 2021-2022 ს/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, ხოლო ექსპერტთა ჯგუფს, ადგილზე ვიზიტის პერიოდში, წარუდგინა პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებული 2022-2023 ს/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია: ➢ **სკოლის მისია;** ➢ **სასწავლო წლის კალენდარი** - მათ შორის არდადეგები და ოფიციალური დასვენების დღეები სრულად ითვალისწინებს კანონით დადგენილ ნორმებს. მასში განსაზღვრულია სასწავლო წლის დაწყება-დასრულების (2022 წლის 15 სექტემბერი, დასრულება II-XI – 2023 წლის 15 ივნისი, ხოლო I კლასი 2023 წლის 27 მაისი, XII კლასებისათვის კი 2023 წლის 20 მაისი), ასევე საშობაო, საგაზაფხულო და სააღდგომო არდადეგების დაწყება-დასრულების პერიოდი. უქმე დღეები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ➢ **დისტანციური სწავლების ორგანიზება** - სკოლის მიერ წარმოდგენილი დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა სრულად ითვალისწინებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 9 სექტემბერის №95/ნ ბრძანებით ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ წარმოდგენილ რეკომენდაციებს (გაკვეთილების ხანგრძლივობა და ოდენობა). სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია დისტანციური სწავლების ორგნიზების ძირითადი პრინციპები (დისტანციური სწავლება შეიძლება განხორციელდეს სრულად ელექტრონულად, სინქრონულად ასინქრონულად ან ჰიბრიდულად). სკოლას შემუშავებული აქვს დისტანციური სწავლების დღის რეჟიმი და საათობრივი ბადე. განსაზღვრულია დისტანციური სწავლების დღის რეჟიმი, გაკვეთილების დაწყება-დასრულების დრო, დისტანციური სწავლების მონიტორინგი. დადგენილია მონიტორინგის მიმართულებები, რაც გულისხმობს, რიგი საკითხების შესწავლა/კონტროლს: ა) ჩატარდა თუ არა დისტანციური გაკვეთილები დადგენილ დროსა და დადგენილი ხანგრძლივობით; ბ) მოხდა თუ არა დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლეების დასწრების აღრიცხვა; გ) მოხდა თუ არა დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი მოსწავლეების აღრიცხვა და მიზეზების კვლევა; დ) დაცულია თუ არა ეთიკისა და ქცევის ზოგადი ნორმები. ➢ **დღის რეჟიმი** - სკოლაში სასწავლო კვირა ხუთდღიანია. დაზუსტებულია გაკვეთილების ხანგრძლივობა, რომელიც ეროვნულ სასწავლო გეგმით დადგენილი ხანგრძლივობის შესაბამისია (I კლასში - 35 წუთი; II კლასში - 40 წუთი; III-XII კლასებში 45 წუთი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	➢ **სასკოლო საათობრივი ბადე** - სკოლის საათობრივი ბადე მოიცავს ყველა სავალდებულო საგნის სწავლებას, რაც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საათობრივი ბადით. სკოლას შერჩეული აქვს საათობრივი ბადის პირველი მოდელი. მეორე უცხოური ენა მესამე კლასიდან იწყება - რუსული ენა (მშობელთა განცხადების საფუძველზე). ➢ **გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით** - სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს გრიფირებულ სახელმძღვანელობის ნუსხას კლასებისა და საგნების მიხედვით. ➢ **საგნობრივი კათედრები** - სკოლაში ფუნქციონირებს სამი საგნობრივი კათედრა, რომელიც აერთიანებს სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელს. ➢ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა; ➢ **ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა** - სკოლა I-VIII კლასებს სთავაზობს: ხალხურ ცეკვას, ხალხურ საკრავებს (დაკვრას), სახვით ხელოვნებას. წარმოდგენილია დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების აღწერა და მიზნები. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, არაფორმალური განათლების კუთხით სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ფუნქციონირებს: III კლასისთვის - ბუნების მეგობართა კლუბი; VIII კლასისთვის - მათემატიკის კლუბი; X კლასისთვის - რელიგიის ისტორიის შემსწავლელთა კლუბი. ➢ **მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები** (გაცდენილი შემაჯამებლი დავალებების აღდგენის ვადები და პირობები, საშემოდგომო გამოცდების ჩატარების ვადები და პირობები და სხვა) - სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი შეფასების მიზნები, ამოცანები და ფორმები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ➢ **ინკლუზიური განათლება** - სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი ინკლუზიური გაანთლების პრინციპები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ინკლუზიური განათლების პრინციპებს. ➢ **სადამრიგებლო პროგრამები** - აგებულია ზოგადი განათლების მიზნებით განსაზღვრული ფასეულობების ჩამოყალიბებაზე. პროგრამა ითვალისწინებს კლასის დამრიგებლის მოვალეობებს; დამრიგებლის საამღმზრდელო მუშაობის პრინციპებს; რეკომენდაციას სადამრიგებლო საათის პროგრამის განხორციელების შესახებ. ➢ **IX და XI კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაკვეთილების ჩატარების განრიგი. ასევე, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების განრიგი - გეგმაში მოცემულია პროფესიული ონრიენტაციის გაკვეთილების გეგმები IX და XI კლასებისთვის; ➢ **შინ სწავლება** - მოიცავს ძირითად პრინციპებს და სწავლების ამ ფორმაზე გადასვლის საფუძვლებს. ➢ **საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი** - სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, მათ შორის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეების და საგნების მიხედვით. ჩამონათვალში მოცემულია საგანმანათლებლო რესურსის ტიპები: გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/ სერია; საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელო / სერია; დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვა). ➢ **არჩევითი საგნები** - სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა; გარემო და მდგრადი განვითარება; სახელმწიფო და სამართალი (X და XI კლასები, XII კლასის II სემესტრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აღსანიშნავია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და მიზნებიდან, ემსახურება სკოლაში მისიით განსაზღვრული ფასეულობების დამკვიდრებას, რაც დასტურდება სკოლის დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების თემატიკით, სადამრიგებლო პროგრამის თემატიკით, მასწავლებელთა სასწავლო გეგმებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • პედაგოგიური საბჭოს ოქმი N1 2022 წლის 6 სექტემბერი; • სკოლის დირექტორის 2022 წლის 6 სექტემბრის ბრძანება N01-01/04 • საგნობრივი კათედრების შეხვედრის სხდომის ოქმები; • საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები; • მასწავლებლების ინდივიდუალური პორტფოლიოები; • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ სკოლის თანამშრომლებთან (პედაგოგებთან); • ინტერვიუ მოსწავლეეთან; • ინტერვიუ მშობლებთან.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სამივე საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას ემსახურება სკოლაში არსებული სამი საგნობრივი კათედრა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ქართული, უცხოური ენების და დაწყებითი სწავლების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები; ინგლისური ენისა და მეორე უცხოური ენის (რუსული) მასწავლებლები; I-IV კლასის ქართულის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების მასწავლებლები. **მათემატიკის, ტექნოლოგიების და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა**, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მათემატიკის, ტექნოლოგიების და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლები; **საზოგადოებრივი მეცნიერებების, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა**, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საზოგადოებრივი მეცნიერებების, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლები. სკოლაში შექმნილი კათედრები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში შემავალ ყველა მასწავლებელს. საგნობრივი კათედრების ფუნქციები, ისევე როგორც კათედრის თავჯდომარის ფუნქციები, შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით გაწერილ კათედრის ფუნქციებთან. წარმოდგენილი ოქმების გაცნობის და კათედრების ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ კათედრები იკრიბებიან მინიმუმ სემესტრში ორჯერ და მსჯელობენ აქტუალურ საკითხებზე. **დამრიგებლის მუშაობის** პრინციპებსა და სადამრიგებლო საათის სარეკომენდაციო პროგრამაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. სადამრიგებლო პროგრამებში გათვალისწინებულია: საუბრები მოსწავლეებთან, დისკუსიები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით; ვიქტორინების, ღონისძიებების, ექსკურსიების და ლაშქრობების ორგანიზება; ცნობილ ადამიანებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან თუ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების მოწყობა. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული **პროფესიული ორიენტაციის გაკვეთილები** ადასტურებს ასევე, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს. გაკვეთლების გეგმებს თან ახლავს გაკვეთილის მიზანი და შედეგი. მაგალითად, პირველი გაკვეთილის მიზანი: „მოსწავლეთა ინფორმირება პროფესიის არჩევის მნიშვნელობაზე; პროფესიათა მახასიათებლებისა და კონკრეტული პროფესიის წარმომადგენელთათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების გააზრება“. მოსწავლეები აცნობიერებენ მომავალი პროფესიის არჩევის მნიშვნელობას. ჰოლანდის ტიპოლოგიასა და კლიმოვის კლასიფიკაციაზე დაყრდნობით, თითოეული მოსწავლე ეცნობა პიროვნული თვისებებისა და სამუშაო გარემოს მიხედვით ადამიანთა ტიპებისა და პროფესიათა ზოგად კლასიფიკაციას. მოსწავლეები იაზრებენ პროფესიათა ჯგუფების მახასიათებლებს და იუმჯობესებენ ჯგუფში მუშაობის უნარებს. მეორე გაკვეთილის **მიზანი**: „სუბიექტური რეალობის არსებობის გაცნობიერება. სტერეოტიპების გავლენა და მათი მოქმედება“. შედეგები: აღქმის ილუზიები და სუბიექტურობის გააზრება. პროფესიის არჩევაზე მოქმედი სტერეოტიპების და მათი მოქმედების რისკების გაცნობიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას წარმოდგენილი აქვს შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების ნიმუშები სხვადასხვა საგანსა და სხვადასხვა კლასში (რუსულის, ქიმიის, ქართულისა და ისტორიის). სრული სურათის შესაქმნელად, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ასევე გასული სასწავლო წლის კათედრების მუშაობას და მათ შექმნილ პორტფოლიოებში წარმოდგენილ მასალას. დადგინდა, რომ პორტფოლიოებში ასახულია შემდეგი ინფორმაცია: კათედრაზე გაერთიანებული საგნობრივი ჯგუფები, კათედრაზე გაერთიანებული მასწავლებლების მონაცემები, კათედრის სამუშაო გეგმა, კათედრის შეხვედრების ოქმები (გასული სასწავლო წლის და 2022-2023 სასწავლო წლის პირველი შეხვედრის ოქმი), კათედრის თავჯდომარის (გასული სასწავლო წლის) ყოველთვიური წერილობითი ანგარიში (მოკლე, კითხვარის შესაბამისად შევსებული), შემაჯამებელი დავალებების ნიმუში და მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება, შემაჯამებელი დავალების შეფასება და ანალიზი, მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები, მასწავლებლის სემესტრული წერილობითი ანგარიში (მოკლე კონკრეტული შეკითხვების შესაბამისი). ექსპერტთა მიერ შემოწმდა ასევე მასწავლებლების ინდივიდუალური პორტფოლიოები, რომლებიც განთავსებულია სკოლაში, ადმინისტრაციის ოთახში, თაროზე და ხელმისაწვდომია სკოლის ყველა თანამშრომლისათვის. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა ინდივიდუალურ პორტფოლიოში მოცემულია მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, დამრიგებლის თემატურ-კალენდარული გეგმა: სადამრიგებლო სასაუბრო თემების მიმართულებები. მშობელთა კრებების გრაფიკი და გასული სასწავლო წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეხვედრის ოქმები. მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი დავალებები, დამატებითი და სახალისო მასალა (რესურსი), პატარ-პატარა მოთხრობები, მათემატიკისთვის სახალისო პატარ-პატარა დავალებები. კლასის დამრიგებლის პორტფოლიოში მოცემულია: სადამრიგებლო კლასში შემსვლელ მასწავლებელთა მონაცემები (საკონტაქტო ინფორმაცია); მშობლების საკონტაქტო ინფორმაცია, საგანობრივი მიმართულებით თემატურ-კალენდარული გეგმები; გასული სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებების ანგარიში. მასწავლებელთა ინდივიდუალურ პორტფოლიოებში მოცემულია თემატური მატრიცები, კომპლექსური დავალებების პირობები და მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, გაკვეთლების გეგმები და დამატებითი რესურსები, შეფასების სქემები და საგნის მასწავლებლის სემესტრული და წლიური ანგარიშები. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, მოსწავლეებთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ თვითმმართველობის ინიციატივით იგეგმება სხვადასხვა ლაშქრობები და ღონისძიებები. ინტერვიურებისას, მოსწავლეებმა ჩატარებულ ღონიძიებებს შორის გამოარჩიეს სკოლაში გამართული „საახალწლო ზეიმი“, რომელშიც მათ სხვადასხვა კუთხით წარმოაჩინეს საქართველოს მხარები. ასევე აღნიშნეს „დედაენის დღისადმი“ მიძღვნილი ღონისძიება, რომელშიც მთელი სკოლა იღებდა მონაწილეობას. გარდა ამისა, ისევ თვითმმართველობის ინიციატივით იგეგმება ფილმების ერთობლივი ჩვენება და შემგომი განხილვა, ბიბლიოთეკაში მოთხრობების, რომანების ნაწყვეტების ერთობლივი კითხვა და განხილვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას ასევე გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლასთან მემორანდუმის ფარგლებში სკოლაში ფუნქციონირებეს მათემატიკის შაბათის სკოლა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • საგნობრივი კათედრების შეხვედრის სხდომის ოქმები; • საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები; • მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება; • მასწავლებლების ინდივიდუალური პორტფოლიოები; • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ სკოლის თანამშრომლებთან (პედაგოგებთან); • ინტერვიუ მოსწავლეებთან; • ინტერვიუ მშობლებთან.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლა აღიარებს თითოეული მოსწავლის განსაკუთრებულობას და გამოხატავს მზაობას, მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, უზრუნველყოს ისინი სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. მასწავლებლების პორტფოლიოების შესწავლის და მათთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები იყენებენ სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სწავლების პროცესში, სხვადასხვა უნარებისა და შესაძლებლობების მოსწავლეთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. სკოლა იზიარებს ინკლუზიური განათლებისადმი საქართველოს განათლების სისტემის მიდგომას და გააჩნია მისი განხორციელებისათვის შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი. გაწერილია ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები და მიდგომები. სასკოლო სასწავლო გეგმას დანართის სახით ახლავს ინდივიდუალური გეგმის ფორმა (შაბლონი); ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი; ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლაში არ ირიცხებოდა სსსმ მოსწავლე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი N5; • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ სკოლის თანამშრომლებთან (პედაგოგებთან); • მასწავლებლების პორტფოლიოები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი შეფასების მიზნები და ამოცანები სრულად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შეფასების წესს. სკოლა მოსწავლეს აფასებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. შეფასების შკალა 10 ქულიანი და 5 დონიანია. ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნებია: **საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ქულა** (სემესტრის განმავლობაში საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ დავალებაში მიღებული შეფასება); **საგნის სემესტრული ქულა**. **საგნის წლიური ქულა. საფეხურის საერთო ქულა**. განმსაზღვრელი შეფასება იწერება: მიმდინარე საკლასო და შემაჯამებელ დავალებაში (V კლასის II-სემესტრსა და XII კლასებში) მიმდინარე საშიანო დავალებაში (VII-XII კლასებში). IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. **V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.** სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ასევე ქულათა გამოანგარიშების წესი, რომელიც სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ქულათა გამოანგარიშების წესს. შემუშავებულია შემაჯამებელი დავალების აღდგენის ზოგადი წესიც, რომლის თანახმადაც შემაჯამებელი დავალების აღდგენა მოხდება სემესტრის დასრულებამდე ან მობილობის შემთხვევაში, სკოლის მიერ ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია გამოცდის ტიპები: სემესტრული გამოცდა; საშემოდგომო გამოცდა; ექსტერნატის გამოცდა. სასკოლო სასწავლო გეგმას დანართის (N3) სახით ახლავს შეფასების რუბრიკების ნიმუშები: დისკუსიის შეფასების; ექსპერიმენტის შეფასების სქემა; ინფორმაციის მოძიება; ზეპირმეტყველების შეფასების სქემა; პრეზენტაციის შეფასების სქემა; პროექტის შეფასების სქემა; რეფერატის შეფასების სქემა; უცხოური ენის, ქართული ენისა და ლიტერატურის ზეპირმეტყველების შეფასების სქემა; უცხოური ენის, ქართული ენისა და ლიტერატურის წერითი შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა; მათემატიკის წერითი დავალების შეფასების სქემა; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა (ზოგადი); სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა; შემაჯამებელი დავალება ზეპირმეტყველებაში (კონკრეტული დავალების პირობას მორგებული); ტექსტური ამოცანა, რომლის ამოხსნა მოითხოვს განტოლების შედგენას და ამოხსნას; შემაჯამებელი დავალება ზეპირმეტყველებაში (კონკრეტული დავალების პირობას მორგებული); შემაჯამებელი დავალება წერით მეტყველებაში (კონკრეტული დავალების პირობას მორგებული); სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია ასევე **შემაჯამებელი, საკლასო და საშინაო დავალების შეფასების რუბრიკები** (დანართი 4). მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტერატურაში საკლასო დავალების შეფასების სქემა, საშინაო დავალების შეფასების სქემა, შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა; მათემატიკაში საკლასო დავალების შეფასების სქემა, საშინაო დავალების შეფასების სქემა, შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა; უცხოური ენა - საკლასო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დავალების შეფასების სქემა, შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა; ისტორიაში საკლასო დავალების შეფასების სქემა საშინაო დავალების შეფასების სქემა, შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა და ასე ყველა საგანში. ეს შეფასების სქემები ჰოლისტურია. შეფასების სისტემის მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის გაცნობა ხდება სასწავლო წლის დასაწყისში, გარდა ამისა მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს სისტემატურად აცნობენ შეფასების სქემებს. აქტიურად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი N3; • სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი N4; • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასტან; • ინტერვიუ სკოლის პედაგოგებთან; • ინტერვუი მოსწავლეებთან.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მიერ შემუშავებულ „სადამრიგებლო პროგრამაში“ გაწერილია მისი ვალდებულება მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების შესახებ. დოკუმენტის თანახმად დამრიგებელმა, რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ), უნდა მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შესახებ (დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვა მოსწავლის / მშობლის თანდასწრებით საუბარი); საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულია შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია; სასწავლო წლის ბოლოს გააანალიზოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მიღწევები, გაკვეთლზე დასწრება და ქცევა მასწავლებლებისგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოამზადოს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, მიაწოდოს მშობელს და შეინახოს თავადაც, მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით. მშობლის ინფორმირების წესი გაწერილია ასევე სკოლის შინაგანაწესის რიგ მუხლებში. მაგ, მუხლი 28 - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები, პუნქტი 4-ის თანახმად, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიღების დღეებია ყოველი ხუთშაბათი, პარასკევი 14:00 საათიდან 17:00 საათამდე (გარდა წინასწარ დაბარებული პირებისა). სხვა დღეებში მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ეზღუდება თავისუფალი გადაადგილება სკოლის შენობაში, სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. ნებისმიერ საკითხზე დირექციასთან ვიზიტი დასაშვებია ყოველდღე (ორშაბათი-პარასკევი) 15:00 საათიდან 17:00 საათამდე. ეს პუნქტები არ ვრცელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე, რომლებიც სკოლის შენობაში საჭიროებისამებრ დაიშვებიან სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განმავლობაში ნებისმიერ დროს. მშობლის ინფორმირებას ემსახურება ასევე ელექტრონული ჟურნალიც. მუხლი 31-ში (სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები) გაწერილია ასევე, რომ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, დირექტორს უფლება აქვს, მასწავლებელთან შეთანხმებით, დართოს ნება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მონაწილეობა მიიღოს საგაკვეთილო პროცესში (დაასწროს მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები გაკვეთილებს). ამავე დოკუმენტის (მუხლი 34. საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები) მიხედვით (პუნქტი 4.) სკოლა, სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ, აწარმოებს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში; შვილთან ეფექტური კომუნიკაცია; ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; ჯანსაღი ცხოვრების წესი; სხვა საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფენ კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის ამაღლებას მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში. მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ორგანიზების მიზნით, სკოლა უფლებამოსილია: მიმართოს მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრს (სამმართველოს); მოიწვიოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ფსიქოლოგიის/სამართლის/სოციალური მუშაობის მიმართულების ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები ან/და მაგისტრანტები; მოიწვიოს მართლწესრიგის ოფიცერი ან/და უბნის ინსპექტორი; მოიძიოს ღონისძიების ორგანიზატორი საერთაშორისო ან ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლა თამარისში შექმნილია მშობლის ინფორმირების და მისი სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის მექანიზმები, <u>თუმცა ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია შეიქმნას ერთი დოკუმენტი, რომელშიც აისახება სადამრიგებლო პროგრამაში და შინაგანაწესის სხვადასხვა მუხლში გაბნეული წესები, რაც უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ეფექტურ ინფორმირებას.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შინაგანაწესი; • სადამრიგებლო პროგრამა; • ინტერვიუ კლასის დამრიგებლებთან; • ინტერვიუ მშობლებთან; • სკოლის ვებ გვერდი; • ელექტრონული ჟურნალი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის შიდა კონკტროლის განხორციელების წესისა და ფორმების შესახებ დებულება, რომელიც დამტკიცებულია 2021 წლის სექტემბერში სკოლის დირექტორის მიერ. დებულება წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმს. დოკუმენტის თანახმად, შიდასასკოლო მონიტორიგი მოიცავს სასწავლო პროცესზე დირექციის კონროლს ორი მიმართულებით: მონიტორიგი და შეფასება. მონიტორინგი მოიცავს - მონაცემების შეგროვებას გაანალიზებას და საჭიროების შემთხვევაში ინტერვენციას. შეფასება კი მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის ანალიზს. აღნიშნულ დებულებაში აღნუსხულია ის დოკუმენტაცია, რომელსაც უნდა მოიცავდეს მასწავლებელის ინდივიდუალური პორტფოლიო, კათედრის თავჯდომარის პორტფოლიო, კლასის დამრიგებლის საქმინობის მონიტორიგი და მისი პორტფოლიო, პედაგოგიური საბჭოს მუშაობის მონიტორიგი: პედაგოგიური საბჭოს სამოქმედო გეგმა და სხდომის ოქმები. საგნობრივი სტანდარტის მიღწევის მონიტორინგი: გაკვეთილზე დაკვირვება; მასწავლებელზე დაკვირვება; შემაჯამებელი დავალებების სტანდარტთან შესაბამისობა; სემესტრული ტესტირებები. სკოლას შემუშავებული აქვს ასევე პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომელიც 2021 წლის სექტემბერში დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. დებულებაში გაწერილია ხარისხის განვითარების ჯგუფის მიზნები (სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა; მასწავლებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა; სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება; სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება; დებულებაში გაწერილია ასევე, ხარისხის განვითარების ჯგუფის წევრთა მოვალეობები. დებულება მოიცავს მასწავლებლის შეფასებასაც, რაც გულისხმობს: გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასებას; მასწავლებლის საქმინობის შეფასებას; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით აქტივობების დაგეგმვას. საგნობრივი კათედრების პორტფოლიოების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს კათედრის თავჯდომარის მოკლე წერილობითი ანგარიშის ფორმა, რომელსაც ყოველთვიურად ავსებს კათედრის თავჯდომარე. აღნიშნული კითხვარი აღწერითი ხასიათისაა. (კათედრისა და სასკოლო პროექტებში მონაწილეობა, საკლასო ჟურნალის წარმოება, მასწავლებელთა საქმიანობის პასუხისმგებლობა, მასწავლებელის მიერ განხორციელებული დამატებითი აქტივობა, დამატებითი ინფორმაცია). კათედრების პროტფოლიოში ასევე არის საგნის მასწავლებლის სემესტრული ანგარიშის ფორმა, რომელიც ასევე აღწერითი ხასიათისაა და სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს (ხშირად გამოყენებული აქტივობები, აქტიურად გამოყენებული რესურსი, გამოყენებული ძირითადი მეთოდები, გამოყენებული შეფასების რუბრიკები). მასწავლებელთა ინდივიდუალური პორტფოლიოების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აკეთებენ სემსტრულ და წლიურ ანგარიშებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ანგარიშების შესწავლის შედეგად იგეგმება, გამოვლენილი საჭიროებების გაუმჯობესების გზები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის დირექტორის 2021 წლის 3 სექტემბრის ბრძანება N01-01/04 „სკოლის შიდა კონკროლის განხორციელების წესისა და ფორმების დებულების დამტკიცების შესახებ“; • „სკოლის შიდა კონკროლის განხორციელების წესისა და ფორმების დებულება“; • პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება 2021 წლის 3.სექტემბერი; • სკოლის დიერქტორის 2021 წლის 3 სექტემბრის ბრძანება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ. • კათედრების მატერიალური პორტფოლიო; • მასწავლებლების ინდივიდუალური პორტფოლიო. • კათედრის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რჩევები:	ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია შეიქმნას ერთი დოკუმენტი, რომელშიც აისახება სადამრიგებლო პროგრამაში და შინაგანაწესის სხვადასხვა მუხლში გაბნეული წესები მშობლის ინფორმირებისა და მისი სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ, რაც უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ეფექტურ ინფორმირებას.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 1165.24 კვ.მ.	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: გორდეზიანის ქ, N 3ა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	კერძო სკოლა შპს თამარისი მდებარეობს ქ. ბათუმში, ფაქტობრივი მდგომარეობით, აზომვითი ნახაზების თანახმად და საჯარო რეესტრის ამონაწერით სკოლა განთავსებულია **გორდეზიანის ქ, N 3ა**-ში მდებარე ხუთსართულიან შენობაში. სკოლა იჯარის ხელშეკრულებით, შეთანხმების დოკუმენტით (მხარეებს შორის 2019 წლის 6 ნოემბერს გაფორმებული უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თაობაზე -15.09.2022) და რეესტრის ამონაწერის თანახმად ფლობს 1165.24 კვ.მ. ფართს: სართული 1 - ფართი 284,52 კვ.მ. სართული 2- ფართი 289.17 კვ.მ., სართული 3 - ფართი 296.20 კვ.მ., სართული 4 -ფართი 295.35 კვ.მ. სართული 5 - მანსარდა. თუმცა ფაქტობრივი მდგომარეობით სკოლის აუდიტორიები განთავსებულია მხოლოდ პირველ, მეორე და მესამე სართულებზე, ხოლო მეხუთე სართულზე განთავსებულია 2 სპორტული დარბაზი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრში გადმოგზავნილ იჯარის ხელშეკრულების თანახმად, სკოლის უფლებამოსილება არსებული ფართით სარგებლობის შესახებ განსაზღვრული იყო 2023 წლის 06 ნოემბრამდე, თუმცა სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2022 წლის 16 სექტემბერს დამოწმებული ურთიერთშეთანხმების დოკუმენტი და რეესტრის ამონაწერი ს/კ N 05.25.02.018.01.500 (მომზადების თარიღი 16.09.2022) რომლის თანახმად ხელშეკრულების დოკუმენტში შევიდა ცვლილება და ვადა გაგრძელდა 2038 წლის 01 იანვრამდე. შესაბამისად ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, წარმოდგენილი ხელშეკრულების და შეთანხმების წერილის თანახმად სკოლა დააკმაყოფილებს განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონით (მუხლი 12. გადაწყვეტილება ავტორიზაციის შესახებ), განსაზღვრულ პირობას, რაც გულისხმობს დაწესებულების საქმიანობის უზრუნველყოფას შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეხუთე სართულის რეკონსტრუქციის გამო მიმდინარეობდა შენობის ჩაბარების პროცედურა.
ფაქტობრივი მისამართი	ბათუმი, გორდეზიანის N3ა
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	N 05.25.02.018.01.500
კვ.მ.	შენობა-ნაგებობა N1 - 1165.24 კვ.მ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან; • ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; • 2022 წლის 16 სექტემბერს დამოწმებული ურთიერთშეთანხმების დოკუმენტი; • საიჯარო ხელშეკრულება N 1; 18 მარტი 2019 • შენობის აზომვითი ნახაზი; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ფლობელობაში არსებულ ფართში განთავსებულია 12 საკლასო ოთახი, 2 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, 1 ისტ -ის ლაბორატორია, 1 დირექტორის კაბინეტი, 1 სამასწავლებლო, 1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სამედიცინო კაბინეტი, 1 ბიბლიოთეკა, 3 სპორტული მცირე დარბაზი. საკლასო ოთახებში საერთო ჯამში განთავსებულია 172 ინდივიდუალური მერხი და სკამი (სკოლას ფლობელობაში აქვს სულ 220 მერხი და სკამი). ყველა საკლასო ოთახში დგას მასწავლებლის მაგიდა და სკამი, კედელზე განთავსებულია დაფები, სასწავლო თვალსაჩინოებები, მოსწავლეთა ნაშრომები. ექსპერტთა მიერ საკლასო ოთახების ფართის შეფასების შედეგებით დგინდება, რომ მათში საერთო ჯამში შესაძლებელია განთავსდეს 220 მოსწავლის მაგიდა და სკამი. **დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკლასო ოთახების რაოდენობა და მათში განთავსებული მერხები და სკამები სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობის საჭიროებების დაკმაყოფილებას.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შესყიდვის დოკუმენტაცია; • აზომვითი ნახაზები; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მეორე სართულზე განთავსებულია 1 მცირე სპორტული დარბაზი (44კვ.მ.) დაწყებითი კლასების მოსწავლეების ფიზიკური აღზრდისთვის, ხოლო მეხუთე სართულზე განთავსებულია 2 სპორტული დარბაზი (ერთი შედარებით მცირე ზომის). მეხუთე სართულზე სპორტული დარბაზების სივრცეში განთავსებულია 2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გასახდელი გოგონებისა და ვაჟებისთვის. ორივე გასახდელში არის სველი წერტილი და საშხაპე. გასულ სასწავლო წელს სკოლას ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული სკოლის ახლოს მდებარე სტადიონთან, სადაც მოსწავლეებს ასევე უტარდებათ სპორტული გაკვეთილები. ახალი სასწავლო წლისთვის მიმდინარეობდა ხელშეკრულების გაგრძელების პროცედურა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები; • შესყიდვის დოკუმენტაცია; • სტადიონის გამოყენებასთან დაკავშირებული ხელშეკრულება (2021-2022); • სასკოლო სასწავლო გეგმა.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში 2 საბუნებისმეტყველო კაბინეტია, რომელშიც განთავსებულია ქიმია-ბიოლოგიის და ფიზიკის ლაბორატორიები. ქიმიის კაბინეტში დამონტაჟებულია ონკანი და გამწოვი კარადა. სასწავლო პროცესისთვის სათანადო ლაბორატორიული ინვენტარი და რეაქტივები დაცულია კარადებში. ქიმიის კაბინეტს აქვს დიდი ფანჯარა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ლაბორატორიების ფლობის დოკუმენტაცია; • სასაქანლო ზედნადებები; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები; • შესაბამისი საგნების მასწავლებლებთან გასაუბრება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას მიეწოდება წყალი და ელექტროენერგია, რაც დასტურდება გადახდილი ქვითრებითა და ფაქტობრივი გარემოებით. სკოლას გაფორმებულია აქვს ხელშეკრულებები სოკარ ჯორჯიასთან, ენერგო პრო ჯორჯიასთან და შპს ბათუმის წყალთან. ყველა საკლასო ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, ხოლო საკლასო ოთახების ნაწილში დამონტაჟებულია კონდიციონერები. სანიტარული კვანძები განთავსებულია ყველა სართულზე თითო-თითო კაბინა გოგონებისა და ვაჟებისთვის. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ელექტროენერგიის და წყლის გადახდის ქვითრები; • სოკარ ჯორჯიასთან, ენერგო პრო ჯურჯიასთან და შპს ბათუმის წყალთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის პირველ სართულზე და მასში დაცულია 380 წიგნადი ერთეული, მათ შორის ყველა საფეხურისა და საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ელექტრონულად არის აღწერილი. ასევე, შემუშავებულია და მოქმედებს წიგნის გაცემა-მიღების ფორმულარები. ბიბლიოთეკის საქმიანობას არეგულირებს დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკაში გამოკრულია მუშაობის საათები და სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ბიბლიოთეკარის მოვალეობები გაწერილია სკოლის დებულებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები; • ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი; • წიგნის გაცემა-მიღების ფორმულარები; • საბიბლიოთეკო საინვენტარო წიგნი; • სასაქონლო ზედნადებები;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის სკოლის შესასვლელ კართან დამონტაჟებულია მყარი, ხოლო სართულებზე ასასვლელი კიბეებისთვის დამზადებულია მოძრავი პანდუსები. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულ სველ წერტილებში დამონტაჟებულია სახელურები შშმ პირთათვის და შესასვლელი პანდუსი, სკოლას ამ ეტაპზე სსსმ და შშმ პირი არ ჰყავს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები; • პანდუსების ფლობის დოკუმენტაცია; • მიღება ჩაბარების აქტები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განსახორციელებლად სკოლას აქვს: ინტერნეტში ჩართული 13 კომპიუტერი, მათ შორის, 3 კომპიუტერი განთავსებულია ბიბლიოთეკაში, 2 სამასწავლებლოში, 1 დირექტორის კაბინეტში, 7 ისტ-ის კაბინეტში. სკოლას აქვს ასევე 4 მულტიფუნქციური პატარა პრინტერი და 1 პროექტორი. სკოლის ვებგვერდზე http://tamarisi1.ge/ განთავსებულია: სკოლის მისია და შინაგანაწესი, ინფორმაცია საგნობრივი კათედრების შესახებ, კათედრების სამუშაო გეგმები, მასწავლებლები, ფოტო და ვიდეო მასალა. აქვე უნდა ითქვას, რომ ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ვებგვერდის განახლება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას აქვს facebook გვერდი, სადაც შექმნილია ჯგუფები კლასების მიხედვით და რომელიც ასევე ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას. სკოლის ელექტრონული ფოსტაა: tamarisibat@gmail.com
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ვებგვერდი http://tamarisi1.ge/; • სკოლის facebook გვერდი • სკოლის ელექტრონული ფოსტა tamarisibat@gmail.com • ვიზუალური დათვალიერების შედეგები; • ვებგვერდის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგად დადგინდა - სკოლის მიერ შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტით განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნები, ორგანიზაციაში შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვა, დამსაქმებლის ვალდებულება, საფრთხის იდენტიფიცირება, რისკების შეფასება და კონტროლის ღონისძიებების განსაზღვრა. დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა და დასაქმებულლთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ინსტრუქტაჟი. შემუშავებულია ასევე შპს თამარისის დებულება - სკოლის მოსწავლეთა, პედაგოგებისა და მომსახურე პერსონალის, სამედიცინო დახმარების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებებზე რეაგირების მექანიზმების შესახებ. შენობაში განთავსებულია წესების დაცვით დატენილი, ვადიანი ცეცხლმაქრები (10) და დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო თბური სისტემა-დეტექტორი. გამოკრულია გასასვლელი მანიშნებლები EXIT. სკოლის შესასვლელში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის - საქართველოს მთავრობის დადგენილება №370 (დანართი N1) - სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ - თანახმად შემუშავებული ევაკუაციის გეგმები. სკოლას აქვს სათადარიგო გასასვლელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი. სკოლას ჰყავს ექიმი (პედიატრი), რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. ოთახში განთავსებულია სამედიცინო ტახტი, წამლების კარადა, მაცივარი, მაგიდა, საკაცე, შირმა, დამონტაჟებულია ონკანი და გამოკრულია პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის წესები და პროცედურები. ექიმთან გასაუბრებითა და დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ იგი აღრიცხავს ჩატარებულ მიმართვიანობას და გაცემულ პრეპარატებს, წამლების ჩამოწერას და მიღებას. ექიმთან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად გაწერილია მისი უფლება-მოვალეობები. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის დებულებაში, რომელიც მოიცავს დასაქმებულ პირთა უფლება-მოვალეობებსაც, ექიმის ვალდებულებები გაწერილი არ არის, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია - სკოლის დებულებაში გაჩნდეს ჩანაწერი სკოლის ექიმის მოვალეობის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სამედიცინო დახმარების მექანიზმები; • სკოლის შინაგანაწესი; • ჩანაწერების ჟურნალი; • ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი, რომელიც საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ პირველი მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად არის შემუშავებული და შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (ბრძანება N01-01/158). სკოლამ წარმოადგინა ასევე დამრიგებელთა მორიგეობის განრიგი, რომლებიც ასევე უზრუნველყოფენ წესრიგის დაცვას და ზრუნავენ კლასში სასწავლო პროცესის დისციპლინის დაცვა–ამაღლებაზე, სკოლას ჰყავს ღამის დარაჯი, რომელიც უზრუნველყოფს შენობის დაცვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სადამრიგებლო პროგრამები; • შპს ,,თამარისის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; • შინაგანაწესი; • გასაუბრების შედეგები; • სკოლის შინაგანაწესი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლისა და წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციებით დგინდება, რომ სკოლას აქვს უსაფრთხოების 10 კამერა, მათ შორის 3 უზრუნველყოფს სკოლის გარე პერიმეტრის კონტროლს, ხოლო 7 შიდა პერიმეტრს აკონტროლებს. კამერების პარამეტრები შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კამერების კონტროლს ახორციელებს სკოლის ადმინისტრატორი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები; • ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის ფლობის დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა თამარისში შემუშავებულია გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი მარეგულირებელი დოკუმენტები დებულების და შინაგანაწესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სახით. დებულება დამტკიცებულია პარტნიორთა კრებაზე (ოქმი N1), 2021 წლის 01 სექტემბერს, ხოლო შინაგანაწესი შეთანხმებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ოქმი N 2 და დამტკიცებულია დირექტორის მიერ 13.09.2021 წელს. სკოლის შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე, სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და სკოლაში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. შინაგანაწესით განსაზღვრულია სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო; დასვენების ხანგრძლივობა; შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი; ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომის პირობების დაცვის წესები; წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; (რეიტინგულ დაგროვებითი მოდელი); მატერიალური პასუხისმგებლობა; განცხადების/საჩივრის განხილვის წესი; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; სკოლაში ჩაცმულობის წესი; უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; შინაგანაწესის დამტკიცებისა და ცვლილებების შეტანის წესი. დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ კლასის დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, რაც დადასტურდა დამრიგებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან გააუბრებისას. სკოლის დებულება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ორგანიზაციის წესდების, ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმების შესაბამისად განსაზღვრავს სკოლის სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებას, სკოლის საქმიანობის ზოგად წესსა და დასაქმებულთა უფლება – მოვალეობებს. დებულებით განსაზღვრულია: სწავლის ხანგრძლივობა; მოსწავლეთა ჩარიცხვის, სხვა სკოლაში გადასვლის, პარალელურ კლასში, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერება/აღდგენისა და მოსწავლეთა სიიდან ამორიცხვის წესი; სკოლაში საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის შემუშავებულია ასევე: დებულება სკოლის შიდა კონტროლის განხორციელების წესისა და ფორმების შესახებ, ასევე ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის და პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა საქმიანობის დებულება. ამ დებულებით რეგულირდება: სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა; მასწავლებელთა შიდა შეფასება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განხორციელებულ საქმიანობასთან; მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი მარეგულირებელი დოკუმენტები ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის, რაც დადასტურდა მათთან გასაუბრებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „თამარისის“ შინაგანაწესი; • დებულება სკოლის შიდა კონტროლის განხორციელების წესისა და ფორმების შესახებ; • შპს „თამარისის“ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის და პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა საქმიანობის დებულება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ თვითშეფასებასთან ერთად წარმოადგინა 2021-2027 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების და 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმები. გეგმები დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ 2021 წლის 01 სექტემბერს. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ასევე 2022-2023 სასწავლო წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სამოქმედო გეგმაც, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით (N01-01/12, 2022 წლის 6 სექტემბერი). ექსპერტთა მიერ შემოწმებული 2021-2027 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში სასწავლო წლების მიხედვით არის ჩაშლილი შესასრულებელი აქტივობები, ხოლო 2022-2023 ს/წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს 10 ძირითად ამოცანას, რომლებიც შემდეგ აქტივობებად არის ჩაშლილი: სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება და სკოლის ორგანიზაციული განვითარება; სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება; სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება; ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია; სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა; სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით; უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა; მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში; მასწავლებელთა პროფესიული განვითარება; სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენება. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული მიზნები, სრულად მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას ემსახურება, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და გაწერილია კონკრეტულ ვადაში შესასრულებლად, თუმცა ექსპერტთა მიერ სკოლას მიეცა რჩევა - შეიმუშავოს ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმის ფორმა, რომელიც უნდა მოიცავდეს გრძელვადიან მიზნებს (არაუმეტეს 5-6) და რომლებიც ჩაშლილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	იქნება ამოცანებად, შესრულების ინდიკატორებად და გაწერილი იქნება დროში პასუხისმგებელი პირების მითითებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა; • 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა; • 2021-2027 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია ერთიანი საქმისწარმოების წესი, რომელიც შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან. წესის მიხედვით, სკოლა აწარმოებს 8 საქმისწარმოების ჟურნალს: • გასული კორესპოდენციის აღრიცხვის ჟურნალი; • მოსწავლეთა მოძრაობის შესახებ ბრძანებათა სარეგისტრაციო წიგნი; • განცხადებების რეგისტრციის წიგნი; • სკოლის თანამშრომლებთან ხელშეკრულებების აღრიცხვის წიგნი; • შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალი; • ადმინისტრაციული სახის ბრძანებების რეგისტრაციის წიგნი; • პირადი შემადგენლობის ბრძანებების რეგისტრაციის წიგნი; • ძირითადი საქმიანობის შესახებ ბრძანებების რეგისტრაციის წიგნი. ყველა ჟურნალი (წიგნი) ზონარგაყრილი და ბეჭედ დასმულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია ასევე ადამიანური რესურსის პირადი საქმეების წარმოებაზე. მასთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შემოსული და გასული კორესპონდეციების, ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალები; • საქმისწარმოების ერთიანი წესი;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	• შემუშავდეს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის ჩარჩო, რომელიც ასახავს სკოლის გრძელვადიან მიზნებს, ასევე ამოცანებს, შესრულების ინდიკატორებს, ვადებს და პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაციას.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	**☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას სასწავლო პროცესის წარმართვისათვის ჰყავს 33 თანამშრომელი, ერთი დირექტორი, ერთი დირქტორის მოადგილე, ერთი საინფორმაციო მენეჯერი, ერთი ბუღალტერი, ერთი ექიმი, ერთი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ერთი ბიბლიოთეკარი, ერთი დიასახლისი, ერთი დარაჯი და 24 მასწავლებელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის სტრუქტურა; • საშტატო განრიგი; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	**24**
მოწვეული/მაძიებელი	**2**
უსტატუსო მასწავლებლი	**6**
უფროსი მასწავლებლი	**16**
წამყვანი მასწავლებლი	
მენტორის სტატუსი	

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს თამარისის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. 24 მასწავლებლიდან, 16 არის უფროსი მასწავლებელი, 2 მაძიებელი, ხოლო 6 უსტატუსო მასწავლებელია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში გაირკვა, რომ მასწავლებლები მომავალში გეგმავენ პროფესიულ წინსვლას, ხოლო ამ ეტაპზე მათთან გაფორმებულია კანონის შესაბამისი ხელშეკრულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ამონაწერი ემისიდან; • მასწავლებელთა პირადი საქმეები; • თანამშრომელთა პირადი საქმეები; • თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები; • საშტატო განრიგი და მასწავლებელთა სათობრივი დატვირთვა; ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ მასწავლებლებთან.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს თამარისში მასწავლებელთა შერჩევის წესი რეგულირდება სკოლის დებულების და შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლის მიერ შემუშავებულია ასევე „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“. დოკუმენტის IV თავში გაწერილია პროცედურები, რომლებიც ეხება „თანამშრომელთა მოზიდვა/შერჩევა, დაქირავებას“. გარდა ამისა, სკოლას გაწერილი აქვს მასწავლებლის კონკრუსის ჩატარების წესი, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმედბლობასთან. ღია კონკურსი ცხადდება საჯაროდ www.teachers.gov.ge - ზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის შინაგანაწესის მეათე თავი მთლიანად ეთმობა სკოლაში თანამშრომელთა წახალისებისა და სანქციების ფორმებს. შინაგანაწესში წარმოდგენილი წახალისების ფორმებია: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება დ. ერთჯერადი (ფოლადი) პრემიის გაცემა; დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. შინაგანაწესის მუხლი 12- 22 მთლიანად ეთმობა დისციპლინური წარმოების წესს, სადაც დეტალურადაა აღწერილი დისციპლინური გადაცდომების ფორმები და შესაბამისი რეაგირება-სახდელები ვადის გათვალისწინებით. შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება აქვს ყველა თანამშრომელს რაც ხელშეკრულების გაფორმების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. შესაბამისად უზრუნველყოფილია ყველა პროცესის გამჭვირვალობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ ; • სკოლის შიანაგანაწესი; • ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა თამარისის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელიც შედგენილია შრომის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულება შეიცავს ზოგად დებულებას, ხელშეკრულების საგანს (მასწავლებლის შემთხვევაში, საგანი რომელსაც ასწავლის და სტატუსი), მხარეთა უფლება მოვალეობას, სამუშაო ადგილსა და დროს, დასვენების დროს, ანაზღაურების წესს, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესს, მხარეთა პასუხისმგებლობის წესს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებს, მხარეთა რეკვიზიტებსა და ხელმოწერას. ხელშეკრულებები ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ, ხოლო თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ ყველა მათთგანს წარმოდგენილი აქვს ცნობები იმასთან დაკავშირებით, რომ არ არის ნასამართლევი და არ აქვს ჩადენილი დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გაფორმებული ხელშეკრულებები; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან/მასწავლებლებთან
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც აყალიბებს კვალიფიციური კადრების შერჩევის, დასაქმებისა და შენარჩუნების არსებით საფუძველს და აერთიანებს ადამიანური რესურსების მართვასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაკავშირებულ ძირითად პოლიტიკებს, პროცედურულ და მარეგულირებელ საკითხებს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა შეესაბამება შპს თამარისი მისიას, ღირებულებებსა და ძირითად მიზნებს; ასევე იმ ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის ძირითად გამოწვევებს, რომელთა მიღწევაც სურს სკოლას ადამიანური რესურსების მიმართულებით და ამ მიზნების სრულყოფისათვის ახორციელებს ჯეროვან ქმედებებს. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი მიზნებია: - სკოლაში მაღალკვალიფიციური კადრის მოზიდვა, შერჩევა და შენარჩუნება; - ეფექტური საკადრო პოლიტიკის მეშვეობით, ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად განხორციელება; - სკოლაში დასაქმებულთა მოტივაციის, თვითრეალიზების, მოტივირებული და ნაყოფიერი საქმიანობის უზრუნველყოფა. დეკლარირებული მიზნების განხორციელებისთვის სკოლა ხელმძღვანელობს პედაგოგების/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის მოზიდვის, ინტეგრაციის, განვითარების და საქმიანობის შეფასების პროცედურებითა და წესებით. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება ისეთი ძირითად პრინციპებსა და ღირებულებებს, როგორიცაა: **დამსახურებებზე დაფუძნებული მიდგომა:** ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში საკვანძო გადაწყვეტილებების მიღება (დაქირავება, ანაზღაურება, წახალისება, დაწინაურება და ა.შ.) ხდება ყოველი ინდივიდის კომპეტენციაზე დაყრდნობით, დასაქმებულის დამსახურებ(ებ)ის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სამართლიანობა, რაც გულისხმობს, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღმა არსებობს სამართლიანი არგუმენტი და გადაწყვეტილების მიღების ობიექტური კრიტერიუმი. - **თანასწორობა:** ყველა თანამშრომლის მიმართ ვლინდება ერთგვაროვანი მიდგომა. დაუშვებელია გენდერული, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით თანამშრომლების განსხვავება. **თანაბარი შესაძლებლობები:** სკოლის პერსონალს აქვს თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად. ამასთან, სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა უნდა იყოს სამართლიანი და გამჭვირვალე, თუმცა, ამავდროულად, აუცილებელია დაცული იყოს პირის კონფიდენციალურობა და მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპი. **მიზანშეწონილობა:** გადაწყვეტილებები მიიღება გააზრებულად და ანალიზის საფუძველზე. არსებული ალტერნატივებიდან ხდება ფინანსური თუ სხვა რაციონალური ნიშნით ყველაზე მისაღები გადაწყვეტილების შემუშავება. **გამჭვირვალობა:** ადამიანური რესურსების მართვის ყველა ასპექტში სკოლა იყენებს ღია და საჯარო მიდგომებს, ხოლო მართვის პროცედურები და რეგულაციები საჯაროა. **პროფესიული განვითარება:** ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინებით. სკოლა მუდმივად ზრუნავს სკოლის პედაგოგების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. **მონაწილეობის პრინციპი:** სკოლა უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესში პერსონალის სრულ ჩართულობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ორიენტაცია ხარისხზე: სკოლა უზრუნველყოფს დაწესებულებაში საგანმანათლებლო საქმიანობის სტანდარტების დახვეწის ხელშეწყობას. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი ყველა ის საკითხი, რომლებიც ადამიანური რესურსის მართვასთან არის დაკავშირებული, შემუშავებულია კითხვარების ფორმები: გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმა; ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების კითხვარი; სკოლის პერსონალის გამოკითხვა სოციალიზაციის შესახებ და სხვა. ადამიანური რესურსების მართვის ძირითად კომპონენტებს. სისტემის ორგანიზაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორი. პერსონალის სამუშაო აღწერილია მათ შრომით ხელშეკრულებებში და სკოლის დებულებაში. პოლიტიკის დოკუმენტი ასევე მოიაზრებს ახალდანიშნული თანამშრომლის სოციალიზაციისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესს. გარდა ამისა, სკოლას, როგორც ზემოდ არის აღნიშნული (სტანდარტი 1.6) შექმნილი აქვს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება 2021 წლის 3.სექტემბერი (დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით); აღნიშნული დებულების IV თავი წარმოადგენს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებას. რაც მიოცავს პროფესიული განვითარების მიზნით აქტივობების დაგეგმვას შემდეგი ნაბიჯების მიხედვით: მასწავლებლეთა საქმიანობის დაკვირვებისა და შეფასების საფუძველზე მასწავლებელთა საჭიროებების დადგენა და საჭიროების შესაბამისად აქტოვობების განსაზღვა (თანამშრომელთა შორის გამოცდილების გაზიარება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სხვადასხვა სახის ტრენინგის ჩატარება; მასწავლებელთა გადამზადება და ა.შ.). ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთა ინფორმირებას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ, რაც დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი სერტიფიკატებით. სხვადასხვა პერიოდში მასწავლებლებს გავლილი აქვთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის და ასევე სკოლის წარმომადგენლების მიერ ორგანიზებული ტრენინგები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს თამარისის ადამიანური რესურსის განვითარების მექანიზმები; • მასწავლებლების პირადი საქმეები; • ადმინისტრაციასთან/მასწავლებლებთან/ თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების და მათ მიერ ჩატარებული აქტივობების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში ნამდვილად სუფევს ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას ემსახურება სკოლაში შექმნილი ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტიც, რომლის ერთერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს - ფორმალიზებული მიდგომებითა და სტანდარტული პროცედურებით უზრუნველყოს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა, რათა ეფექტიანად და კანონთან შესაბამისობით სკოლაში შეიქმნას სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას მისცემს დასაქმებულ პირებს თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები. მშობლებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ სკოლა განსაკუთრებულ როლს ანიჭებს მათი შვილების უსაფრთხოებას, ასევე კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ მასწავლებლები ეხმარებიან მათ შვილებს სირთულეების დაძლევაში და საჭიროების შემთხვევაში უტარებენ ინდივიდუალურ დამატებით გაკვეთილებს. სკოლის მთავარ პრიორიტეტად ასახელებდნენ იმას, რომ მათ შვილებს არ სჭირდებათ რეპეტიტორები. მოსწავლეებთან გასაუბრების დროს, რომელიც სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებთან ჩატარდა, გამოიკვეთა რომ მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს მათი მოტივაციის ასამაღლებლად. ისინი ხშირად მუშაობენ პროექტებზე, რაც მათ მრავალმხრივ განვითარებას ემსახურება. თვითმმართველობაში ჩართული მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ სკოლა ხელს უწყობს მათ საკუთარი ინიციატივების განხორციელებაში და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მშობლებთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

გვერდების რაოდენობა -65

თბილისი - 08.10.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.